# სსრ კავშირის კონსტიტუცია ცოცხლობს, მუშაობს, მოქმედებს

## ხვალ, 7 ოქტომბერს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღინიშნება

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 192
(7503)

6
1983 წ.
ოქტომბერი.
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

სსრკ
კონსტიტუციის
დღე

ყველას კარგად გვახსოვს ის დღე — 1977 წლის 7 ოქტომბერი. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ შეასრულა ხალხის ნება და მიიღო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია. 6 წელი გავიდა მას შემდეგ, 6 წელიწადია მოქმედებს ჩვენი საზოგადოების ძირითადი კანონი — დროის მოთხოვნათა შესაბამისად განახლებული და შევსებული.

სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ მძლავრი ბიძგი მისცა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განვითარებას. არსად, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის ფიზკულტურისა და სპორტის სოციალური როლი ისე ფართოდ აღიარებული, როგორც ჩვენში. სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ისევე, როგორც საქართველოს სსრ კონსტიტუციაში პირველადაა ჩაწერილი, რომ სახელმწიფო ზრუნავს მასობრივი ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარებისთვის. დიახ, ამ დოკუმენტებში ფიზკულტურა და სპორტი აისახა, როგორც მომავალი თაობის ჰარმონიული განვითარების, მუშა-მოსამსახურეთა დასვენების უფლების უზრუნველყოფის აუცილებელი საშუალება. კონსტიტუციის 41-ე მუხლში წერია, რომ „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს... გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება; საცხოვრებელ ადგილზე დასვენების ხელშემწყობი შესაძლებლობებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების სხვა პირობების შექმნა“. ამ მუხლში, ფაქტიურად, ჩამოყალიბებულია ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ძირითადი ამოცანაც — ფიზკულტურისა და სპორტის საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრებისთვის დღენიადაგი ზრუნვა, მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ახალი, ეფექტური ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, სპორტული ბაზების ქსელის გაფართოება.

ბოლო პერიოდში, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილებას „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი განვითარების შესახებ“.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ „ფიზიკური კულტურის განვითარებისთვის ზრუნვა უნდა უზრუნველყოფდეს ისეთი პირობების შექმნას, რომელშიც სსრ კავშირის ყველა მოქალაქე შეძლებს სრულად გამოიყენოს საბჭოთა კონსტიტუციით გარანტირებული შესაძლებლობა — მისდევდეს ფიზიკურ კულტურას, სპორტსა და ტურიზმს“. აი რა არის დღეს მთავარი და არსებითი, აი, საითკენ უნდა განვითარდეს ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობა, რომლის უპირველესი მისიაც ადამიანთა ჯანმრთელობის განმტკიცება და კეთილდღეობა, ცხოვრების გალამაზებაა.

# საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს

ტალანტების დღესასწაულით, მაღალი ხელოვნების ზეიმით, შემოქმედებითი ურთიერთობის სიხარულით ცხოვრობდა საქართველო მთელი ამ დღეების განმავლობაში. საბჭოთა რუსეთის, მისი შესანიშნავი ადამიანების ცხოვრებისა და მიღწევების შესახებ დიდებული მოთხრობა გახდა რუსეთის სფს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები — ბრწყინვალე კონცერტები, გამოფენათა დიდებული ექსპოზიციები, დაუვიწყარი შემოქმედებითი შეხვედრები.

განთქმულმა მხატვრულმა კოლექტივებმა და შემსრულებლებმა, საქვეყნოდ ცნობილმა ლიტერატორებმა, სახვითი ხელოვნების, თეატრისა და კინოს ოსტატებმა, რომლებიც საბჭოთა კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები არიან, არა მარტო დაგვანახვეს რუსეთის შემოქმედებითი გენიის დაუშრეტელი საგანძურის მკაფიო პანორამა, არამედ ახალი ძალით დაადასტურეს, თუ რა ურღვევია ძმური კავშირი, რა ფართო და ამოუწურავია რუსული გულის სიუხვე, გამოიჩინეს მხურვალე ინტერესი ჩვენი ხალხის სულიერი ღირებულებებისა და შრომითი მიღწევებისადმი, მის მისწრაფებებთან წილნაყარობა, რამაც რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები გადააქცია უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად რესპუბლიკის ცხოვრებაში. გულითადი მადლობა ამისათვის!

მადლიერების ყველაზე კეთილი სიტყვებით მივმართავთ რუსეთის სფსრ წარმომადგენლობითს დელეგაციას, რომელმაც თავისი მონაწილეობით დაამშვენა მეგობრობისა და ძმობის ეს შთამბეჭდავი დღესასწაული.

ჩვენს მეგობრობას აცისკროვნებს რუსეთისა და საქართველოს შვილების დიადი სახელები. ერთიანობის, ურთიერთგამდიდრების ფასდაუდებელი ტრადიციები მტკიცდება, ვითარდება, ახალ-ახალ მასშტაბს იძენს. ამის ერთ-ერთი დამაჯერებელი დადასტურებაა ახლანდელი მოვლენა. და კანონზომიერია, რომ იგი გახდა გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ისტორიული მანიფესტის 200 წლისთავის დღესასწაულის საზეიმო პროლოგი.

მოხარული ვართ, რომ რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებმა ესოდენ ვრცელი პროგრამის მიუხედავად, შეძლეს კიდევ უფრო ახლო გასცნობოდნენ ჩვენს რესპუბლიკას, შეეგრძნოთ მისი შრომითი რიტმი, საქმიანი განწყობილება და დარაზმულობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რომელთა მიზანია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება და ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების განმტკიცება.

მადლიერი საქართველო — მისი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია ყველა ჩვენს ძვირფას სტუმარს უსურვებს შემდგომ შემოქმედებითს გამარჯვებებს სამშობლოს სადიდებლად, ქვეყნად მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის.

საბჭოეთის ხალხთა მხატვრულ აღმოჩენათა უმდიდრესი საუნჯე, საბჭოთა ხელოვნების მთელი მრავალფეროვნება და მრავალხმიანობა, ერთიანდება მძლავრ სიმღერად აღმშენებლობისა და მშვიდობის შესახებ. იმის საჭიროება, რომ გავამაგროთ ჩვენი პოზიციები მშვიდობის განმტკიცების საკითხებში, რომელიც ასეთი დამაჯერებლობითა და ძალით არის გამოხატული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში, დღეს განსაკუთრებით აქტუალურს ხდის მთელი ჩვენი მრავალეროვნული კულტურის წარმომადგენელთა კეთილშობილურ მისიას, ხალხთა ურთიერთგაგების დამკვიდრებას რომ ისახავს მიზნად.

ასეთია სახელოვანი საბჭოთა ტრადიცია, რომ ჩვენი დღესასწაულებიც ხელს უწყობს საერთო საქმეს, გვრაზმავს, უფრო თვალსაჩინოს ხდის ჩვენს წარმატებებს, გვმატებს მხნეობასა და ენთუზიაზმს მომავალი მიღწევებისათვის, და, როგორც შესანიშნავმა პოეტმა ნიკოლოზ ტიხონოვმა თქვა, გულიდან გულამდე აგებს ჩვენი დიადი მეგობრობის ხიდს!

ურყევია ჩვენი ერთიანობის თვით ისტორიის შექმნილი, ერთიანი და თანასწორი ხალხების ინტერნაციონალური კავშირისათვის ლენინური ზრუნვით შედუღაბებული, საბჭოთა ადამიანების რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი თანამეგობრობით ნაწრთობი ამ ხიდის საძირკველი. და წმინდად ვიცავთ იმის ხსოვნას, რომ გზა ამ ხიდზე დიდმა რუსმა ხალხმა გაკვალა.

ყოველი ახალი დღე მკაფიო ფურცელს წერს ძმობის მატიანეში. წითელ სტრიქონად აღიბეჭდება მასში ჩვენი საერთო დღესასწაულის, ცხოველმყოფელი და ყოვლისმძლე ერთიანობის დღესასწაულ-სიმბოლოს ეს დაუვიწყარი დღეებიც.

საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის სახელით ერთხელ კიდევ გულითად მადლობას მოვახსენებთ რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს — შემოქმედებით კავშირებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მხატვრულ კოლექტივებსა და მათს ხელმძღვანელებს, კომპოზიტორებსა და დირიჟორებს, ყველა შემსრულებელს — ბალეტის მსახიობებს, ვოკალისტებს, მუსიკოსებს, მსახიობებს, რომლებმაც ეს ნათელი დღესასწაული გვაჩუქეს.

დაე, მარად იმარჯვებდეს და კიდევ უფრო მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხების ძმობა, რომლებიც გულდაჯერებით აშენებენ მშვიდობასა და ბედნიერებას ლენინიზმის დიადი დროშით.

**საქართველოს
კომპარტიის
ცენტრალური კომიტეტი**

**საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმი**

**საქართველოს სსრ
მინისტრთა
საბჭო**

# საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

5 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ე. მ. ჩეხარინის მეთაურობით ჩამოსული რუსეთის ფედერაციის დელეგაცია, რომელიც რესპუბლიკაში იმყოფება საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებთან დაკავშირებით.

რუსეთის ფედერაციის დელეგაციის მეთაურმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ე. მ. ჩეხარინმა მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, მთელ ქართველ ხალხს გულითადობისთვის, სტუმართმოყვარეობისა და ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების კარგი ორგანიზაციისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი. აქვე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ლ. ი. მგალობლიშვილი, ნ. შ. ჯანბერიძე, რესპუბლიკის მხატვართა და მწერალთა კავშირების ხელმძღვანელები ე. დ. ამაშუკელი და ნ. ვ. დუმბაძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ვ. თაქთაქიშვილი. (საქინფორმი).

# სსრ კავშირის კონსტიტუცია ცოცხლობს, მუშაობს, მოქმედებს



● შრომა და სპორტი — მხარდამხარ!

# ფიზკულტურელთა სანიმუშო წვლილი

**საუკეთესო** საწარმო კოლექტივებს შორის ბათუმის ხისდამამუშავებელ კომბინატსაც ასახელებენ. მთელი კოლექტივი იმ გადაწყვეტილებით მუშაობს, რომ მის მიერ გამოშვებული პროდუქცია მაღალხარისხოვანი იყოს. აქ დამზადებულ სამზარეულოს კომპლექტზე დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს რესპუბლიკაში.

ახლახან კომბინატში დაინერგა ტექნოლოგიის ახალი მეთოდი. სინთეზური შპონის გამოყენებით წარმოების ნარჩენებისაგან მზადდება საუკეთესო ხარისხის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი (სამარილეები, საწიწაკეები, კალათები, ღობის მასალა და სხვ).

კომბინატის კოლექტივს წლეულს გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში მოიპოვეს. კოლექტივს ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი სერგო მოსესოვი.

ამჟამად მიმდინარეობს საავეჯო წარმოების რეკონსტრუქცია. დამონტაჟდება ახალი ტიპის თანამედროვე დაზგა-დანადგარები, გაფართოვდება სასაწყობო მეურნეობა, ორჯერ გაიზრდება ავეჯის წარმოება.

კოლექტივის საერთო მიღწევებში განსაკუთრებული წვლილი შეაქვს ფიზკულტურულ კოლექტივს (მეთოდისტი რ. ლაზიშვილი). საამქროებში სისტემატურად ტარდება საწარმოო ტანვარჯიში, მშრომელთათვის ჩამოყალიბებულია ხელბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჭადრაკის, შაშის, მაგიდის ჩოგბურთის, მძლეოსნობის, თევზჭერის, სათხილამურო სპორტის და ლელობურთის სექციები. საამქროებს შორის უკვე მოეწყო სპარტაკიადა, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა.

კომბინატის სახელს იცავენ: სპორტის ოსტატი კლასიკურ ჭიდაობაში ბ. ძინძიბაძე, ოსტატობის კანდიდატები, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოშაშე გულნარა მაჭარაძე, მშთ მრავალჭიდელი გოჩა ლორია, ჩოგბურთელი გალინა პევზნერი, მოთხილამურე გულნარა თურმანიძე.

კომბინატის თანამშრომლებსა და მუშებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურიზმის სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს საავეჯო საამქროს უფროსის მოადგილე გ. კუნჭულია.

1982 წელს ფიზკულტურის კოლექტივს მაღალი სპორტული მიღწევებისთვის გადაეცა საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ხარისხის დიპლომი.

ამჟამად კომბინატის ტერიტორიაზე შენდება კომპლექსური სპორტდარბაზი, სადაც მოეწყობა ხელბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის მოედანი, გამოიყოფა სპეციალური ოთახები ჭადრაკის, შაშის და მაგიდის ჩოგბურთისათვის, მოეწყობა საჭირო სათავსოები, გასახდელები და საშხაპე. მშენებლობა წლეულს დამთავრდება.

ა. სალუქვაძე.



**სურათებზე:** კომბინატის მოჭადრაკეები შესვენებაზე; სპორტული თევზჭერის სექციის წევრები მდინარე ყოროლისწყალზე; ტურიზმის მოყვარულნი სოფელ ჩაისუბნის მიდამოებში.

## ზურაბ საკანდელიძის სახელობისა

**გლდანის** რაიონში კარგა ხანია არსებობს ბავშვთა სპორტული კლუბი (უფროსი მწვრთნელი გია გვალია), რომელიც ნორჩ კალათბურთელთა წვრთნისა და აღზრდის საქმეს ემსახურება. კლუბის წევრებს არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა ქალაქის თუ რესპუბლიკის ნორჩ კალათბურთელთა შეჯიბრებებში. პირველი სერიოზული წარმატება კი წლეულს, მარტში მოიპოვეს — ტაგანროგში გამართულ სპორტკლუბების საკავშირო ტურნირზე III ადგილი დაიკავეს.

უშინსკის სახელობის 75-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში (დირექტორი პ. ტურიაშვილი), სადაც ვარჯიშობდნენ ნორჩი კალათბურთელები, გადაწყვიტეს, გაეხსნათ ჩვენი სახელოვანი კალათბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტული კლუბი.

ამას წინათ სწორედ ამ კლუბის გახსნა იზეიმეს გლდანის რაიონის ახალგაზრდებმა. ზურაბ საკანდელიძემ მიულოცა ბავშვებს ახალი სპორტული კერის დაარსება, წარმატებები უსურვა სწავლაში, სპორტში და აღუთქვა, რომ ყოველმხრივ დაეხმარება მათ. პატარებმა ჩაიბარეს კლუბის სიმბოლური გასაღები და პირველი საწვრთნელი მატჩიც გამართეს.

• • •

**სურათზე:** ზურაბ საკანდელიძე (ცენტრში) მისი სახელობის კლუბის წევრებთან, ნორჩ კალათბურთელებთან ერთად.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# შეკაზმული ცხენებით

**მესამე** სეზონია, რაც ქუთაისის კემპინგში არსებობს ტურისტული საცხენოსნო მარშრუტი, რომელიც კავკასიაში მოგზაურობის მოყვარულთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.

ექვსი დღის განმავლობაში ტურისტები ქუთაისში სწავლობენ ცხენებზე ჯდომას, შემდეგ ავტობუსებით მიემგზავრებიან ცაგერის რაიონის სოფელ ალპანამდე, მერე კი, შეკაზმავენ რა მუხლმაგარ ცხენებს, მიემართებიან სოფელ ზემო საირმისაკენ, რომელიც ზღვის დონიდან 2 ათას მეტრზე მდებარეობს. აქვეა საცხენოსნო მარშრუტის თავშესაფარი — ქუთაისის კემპინგის ფილიალი.

ზემო საირმის თავშესაფარი გარემოცულია დიდებული მთებით, რომელთა ფერდობებზე შეფენილია წიწვოვანი ტყეები. აქ ტურისტები აწყობენ არა მარტო საინტერესო ლაშქრობებს, არამედ ეცნობიან ისტორიულ ადგილებსაც, რომლებითაც ასე მდიდარია რაჭა-ლეჩხუმი. მათ თან ახლავთ გამოცდილი გამცილებლები — უფროსი ინსტრუქტორი ელდარ ალავიძე და ინსტრუქტორი თემურ ხურციძე. დაბრუნებისას კი ცხენოსნებს ელოდებათ საინტერესო დასვენება თავშესაფარში: სიმღერებისა და ცეკვების საღამოები, კინოფილმები, სპორტული თამაშები.

• • •

**სურათებზე:** ქიეველი ბიბლიოგრაფი ლიდია ნოხარი ლაშქრობისას; საცხენოსნო მარშრუტს სათავეში უდგას უფროსი ინსტრუქტორი ელდარ ალავიძე.

ე. ეგინოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ვერა მენჩიკს სჯეროდა...

**20-იანი** წლების მიწურულს დიდი რეზონანსი ჰქონდა კარლსბადის 1929 წლის საერთაშორისო ტურნირს. არა მარტო იმიტომ, რომ ამ ტურნირში ყველა იმდროინდელი უძლიერესი დიდოსტატი მონაწილეობდა (არ იყვნენ მხოლოდ ა. ალიოხინი და ე. ლასკერი), არამედ იმითაც, რომ მსგავს თვალსაჩინო ვაჟთა შეჯიბრებაში პირველად გამოჩნდა მოჭადრაკე ქალი.

მართალია, ეს ქალი მსოფლიო ჩემპიონი, 23 წლის ვერა მენჩიკი იყო, მაგრამ ზოგი მონაწილე მაინც ირონიული ღიმილით ემზადებოდა მასთან საპაექროდ. ალბათ გახსოვთ, სწორედ ამ ტურნირის დროს შეიქმნა ვერა მენჩიკის სახელობის იმპროვიზირებული კლუბი, რომლის წევრი ხდებოდა მასთან შეხვედრაში დამარცხებული დიდოსტატი და ოსტატი.

ერთი სიტყვით, ამ საერთო აჟიოტაჟის დროს ჟურნალ „შახმატნი ლისტოკის“ (ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ“-ის წინამორბედი) 1929 წლის მე-16 ნომერში დაიბეჭდა ვერა მენჩიკის დამაფიქრებელი სტატია „მოჭადრაკე ქალი დასავლეთ ევროპაში“, რომელიც მან საგანგებოდ ამ ჟურნალისათვის დაწერა.

ვერა მენჩიკი წერდა: „ახლა ყოველდღე მეკითხებიან იციან თუ არა ქალებმა ჭადრაკის თამაში, როგორია მათი დღევანდელი ხვედრითი წონა მოჭადრაკეთა შორის, როგორია მათი საჭადრაკო მომავალი და სხვ. თითქოს უბრალო შეკითხვებია, მაგრამ მაინც ძნელია მათზე პასუხის გაცემა.

დასვამთ თუ არა კითხვას: „იციან თუ არა ქალებმა ჭადრაკის თამაში?“ მაშინვე მეორე კითხვა გაჩნდება: „რას ნიშნავს ჭადრაკის თამაშის ცოდნა და საერთოდ ვის შეიძლება ვუწოდოთ „მოჭადრაკე“ და ვის „მოყვარული“? ვფიქრობ, ბევრის შეხედულება ამ საკითხზე არ დაემთხვევა ერთმანეთს. ზოგ სუსტ მოთამაშეს მოჭადრაკის სახელზე აქვს პრეტენზია, თუმცა დაჟინებით ამტკიცებს, რომ ქალებმა ჭადრაკის თამაში არ იციან.

...ის, რომ ქალთა შორის ცოტაა კარგი მოჭადრაკე, აიხსნება არა იმით, რომ ქალებს არა აქვთ ნიჭი, არამედ იმ სიძნელეებით, რომელნიც უნდა დაძლიონ ტალანტის გასავითარებლად.

...ძლიერი მოჭადრაკე რომ გახდე, საჭიროა ადრეულ ასაკში ისწავლო თამაში. ამის შესაძლებლობა კი ქალს იშვიათად ეძლევა. ინგლისში ბევრ ვაჟთა სკოლაში სპორტის სხვა სახეობებთან ერთად ჭადრაკსაც ასწავლიან, სამწუხაროდ, ასე არ ხდება ქალთა სკოლებში. ჭადრაკში ახალგაზრდების მიზიდვის სურვილით 1926 წლიდან ლონდონში აწყობენ ჩემპიონატს 21 წლამდე ქალთათვის. უდავოდ კარგი წამოწყებაა, მაგრამ იმასთან შედარებით, რაც ვაჟებისათვის კეთდება, წვეთია ზღვაში“.

შემდეგ ვერა მენჩიკი აღნიშნავს: „ინგლისის ყველა საჭადრაკო კლუბში როდი ღებულობენ ქალებს. საზღვარგარეთ, ჩემი აზრით, კიდევ უფრო ცუდადაა საქმე. კლუბები, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ არის. ძირითადად ღია კაფეებში თამაშობენ. ასე რომ, თუ ქალი ახლა შეძლებს განავითაროს თავისი ტალანტი, ისეთი გარემოება უნდა შეექმნას, როგორიც მე. ყველა როდი მოხვდება ძლიერი მოთამაშეებისაგან შემდგარ პროვინციულ კლუბში და ბოლოს, ბედი ყველას როდი გამოუგზავნის მასწავლებლად მაროცის“ (გამოჩენილი უნგრელი დიდოსტატი, რომელიც ჰასტინგსში ამეცადინებდა მენჩიკს. — თ. გ.).

დასასრულს მსოფლიო ჩემპიონი წერს: „ჩემი წარმატებების შემდეგ ინგლისში მეკითხებიან: მოიპოვებს თუ არა ოდესმე ქალი ნამდვილი ოსტატის წოდებას?“ ვინ იცის. ვფიქრობ, მოიპოვებს. მაგრამ ეს არ არის არსებითი. მართალია, მე ჯერ კიდევ არა მაქვს ოსტატის წოდება, მაგრამ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოჭადრაკის სახელი უკვე დავიმსახურე, ქალისთვის კი ეს წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ არა გვაქვს წარსული ჭადრაკში, გვაქვს მხოლოდ აწმყო და მომავალი. მომავალი კი ყველაფერს გვიჩვენებს“.

ამ სტატიის შემდეგ 54 წელმა განვლო. ამ ხნის მანძილზე მთლიანად შეიცვალა შეხედულება მოჭადრაკე ქალთა შესაძლებლობებზე. ქალთა საჭადრაკო მოძრაობამ მძლავრი ფრთები გამოისხა. დღეს უძლიერესნი ტოლს არ უდებენ საქვეყნოდ აღიარებულ დიდოსტატ ვაჟებს, ზოგჯერ კიდეც ამარცხებენ მათ. ბევრისმეტყველია ის ფაქტი, რომ უძლიერესმა მოჭადრაკე ქალებმა ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის (ნ. გაფრინდაშვილი) და ოსტატის (მ. ჩიბურდანიძე, ლ. რუდენკო, ე. ბიკოვა, ო. რუბცოვა, პ. კრამლინგი) წოდებები მოიპოვეს, წარმატებით გამოდიან ვაჟთა ტურნირებშიც (მაგალითად, ნ. გაფრინდაშვილმა I-IV ადგილები გაიყო აშშ-ს ჩემპიონატში, მ. ჩიბურდანიძემ II ადგილი დაიკავა სსრ კავშირის 49-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში, I-III ადგილები გაიყო ესპანეთის საერთაშორისო ტურნირში და სხვ.).

შემთხვევითი როდია, რომ მოჭადრაკე ქალთა ამ წარმატებებში ლომის წილი საბჭოთა ოსტატებზე მოდის. ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი ქალთა შემოქმედებითი სრულყოფისათვის ყველა სფეროსა და დარგში, მათ შორის ჭადრაკშიც.

ჯერ კიდევ 1935 წელს ვერა მენჩიკმა სწორად განჭვრიტა საბჭოთა მოჭადრაკე ქალთა დიდი მომავალი. ეს მაშინ, როცა მან მოსკოვში 10 უძლიერეს მოჭადრაკე ქალთან ერთდროულ სეანსში ყველა პარტია მოიგო და შეეძლო არ დაენახა კვირტები.

დასავლეთ ევროპაში და საერთოდ მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა ძლიერ მოჭადრაკეთა რიცხვი.

ვერა მენჩიკს ქალთა ჭადრაკის მომავალისა სჯეროდა, ამიტომაც გავიხსენეთ მისი მივიწყებული ეს სტატია.

თ. გიორგაძე.



**სურათზე:** მსოფლიო ჩემპიონი, დიდოსტატი მაია ჩიბურდანიძე ნორჩ მოჭადრაკეებთან.

საქინფორმის ფოტო.

---

მუხლი 41. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს... გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება; საცხოვრებელ ადგილზე დასვენების ხელშემწყობი შესაძლებლობებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენება, სხვა პირობების შექმნა.

# სპორტული ბაზები: ფართო პერსპექტივა

**რაც** უფრო ფართოდ იშლება მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი სპორტული მოძრაობა, მით მეტი სერიოზული მოთხოვნებია ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ფუნდამენტის — მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიმართ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილებაში „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი განვითარების შესახებ“ ნათქვამია: „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს დაევალოთ: გააუმჯობესონ მოსახლეობის ფიზიკური აღზრდისადმი ხელმძღვანელობა, განამტკიცონ ფიზკულტურული მოძრაობის მატერიალური ბაზა საგეგმო დავალებათა საფუძველზე.“

სპორტული ბაზების მესვეურთა უმთავრესი მიზანია ვარჯიშისა და დასვენების სრულყოფილი პირობები შეუქმნან ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალრიცხოვან არმიას.

ბოლო 5 წლის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი შესანიშნავი სპორტული ბაზა ჩადგა მწყობრში. თუ საქართველო ერთ-ერთი ჩამორჩენილი იყო სპორტული ბაზების რაოდენობის მხრივ საკავშირო მასშტაბით, დღეს ამ მხრივ მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, თუმცა პრობლემები კვლავ არის, რადგან სპორტული ბაზები ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ისეთი ქვაკუთხედია, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი და რომლის ავ-კარგზე სჯა-ბაასიც ყოველთვის დროულია.

რესპუბლიკის სპორტული ბაზების მდგომარეობის შესახებ ინტერვიუ ვთხოვეთ საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს უფროსს, სპორტის ოსტატ ვალერი ლომაძეს.

● **ჩვენი გაზეთის მკითხველს აინტერესებს რა მდგომარეობაშია დღეს რესპუბლიკაში არსებული ბაზები.**

— რიცხვი იმ სპორტული ბაზებისა, რომლებიც პასპორტიზაციას ანუ სახელმწიფო სანორმატივო დოკუმენტაციას ექვემდებარება, ჩვენს რესპუბლიკაში დღეისათვის შემდეგნაირად გამოიყურება: გვაქვს 72 სტადიონი, 164 ფიზკულტურის სახლი და სპორტული დარბაზი (აქ არ შედის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების სპორტდარბაზები), 17 საჭადრაკო კლუბი, 35 სასროლეთი, 3 მძლეოსნური მანეჟი, 2 ველოსტადიონი, 921 კალათბურთის, 950 ფრენბურთის, 158 ხელბურთის, 89 ჩოგბურთის და 380 ფეხბურთის მოედანი. ცალკე უნდა შევეხო საცურაო აუზების მდგომარეობას. დღეს საქართველოში 51 საცურაო აუზია, მათ შორის 15 დახურული, მაგრამ ამ აუზებიდან ზოგი არ მუშაობს, ზოგში გათბობა არ არის, სხვაში რემონტი მიმდინარეობს. ჭიანურდება პროფსაბჭოს სპორტნაგებობათა სამმართველოს საცურაო აუზების რემონტი ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში, სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ ღია საცურაო აუზისა თბილისში. რაც შეეხება ტყიბულის საცურაო აუზს, დიდი ხანია იქ საერთოდ არ თბება წყალი. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აუზში კი არც წყალი თბება და არც გასახდელი აქვს აუზს.

მძლეოსნობაში რომ არასახარბიელო მდგომარეობაა საქართველოში, ეს საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ფინალურმა ასპარეზობამაც დაადასტურა. სპორტის ამ სახეობის ჩავარდნის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ ჩვენი სტადიონების უმრავლესობას არა აქვს სარბენი ბილიკები და მძლეოსნური სექტორები, სათანადო მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებდეს. მინდვრის საფარს, ასე თუ ისე, უვლიან, სარბენი ბილიკები კი ბევრგან მიტოვებული და მოუვლელია. თანამედროვე, კეთილმოწყობილი სტადიონების სარბენი ბილიკები და სექტორები დაფარულია რეკორტანით, სპარტანით, რეგუპოლით, ფისპოლით. თუ ამ ძვირადღირებული საფარის დაგებას ვერ ვახერხებთ, წიდოვანი ბილიკის გაკეთებას რაღა უდგას წინ?

● **როგორ ფინანსდება სპორტული ობიექტების მშენებლობა და მათი რემონტი?**

— საერთოდ, სპორტული ნაგებობების მშენებლობის დაფინანსება რამდენიმე არხით ხდება: სახელმწიფო ბიუჯეტიდან, პროფკავშირების თანხებიდან, სპორტული საზოგადოებების და სხვა ორგანიზაციებიდან, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებიდან, კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან, მაგრამ ეს თანხა ყოველთვის როდი ხმარდება მიზანმიმართულად ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის ცნობილ დადგენილებაში ნათქვამია: „უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ფიზკულტურულ ღონისძიებათა ერთობლივი განხორციელების, სპორტულ ნაგებობათა მშენებლობისა და რემონტის დროს სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების კოოპერირება მოცემული ღონისძიებების მონაწილე თითოეული სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის თანხმობითა და გადაწყვეტით“.

ყოველივე ეს სახელმძღვანელო დოკუმენტია და დღევანდელობა გვკარნახობს, რომ მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული კოოპერირების წესი.

● **რას იტყოდით სპორტული ბაზების განლაგების შესახებ?**

— ეს მეტად საჭირბოროტო და პრობლემური საკითხია. სპორტული ნაგებობები და ღია მოედნები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით შენდება და ნაწილდება. მაგალითად, 12000 მცხოვრებზე გათვალისწინებულია ერთი სპორტული დარბაზი, 20000 კაცზე — ერთი ჩოგბურთის კორტი, საკავშირო ნორმით ერთ სულ მოსახლეზე უნდა იყოს 1,2 კვადრატული მეტრი სპორტული მოედანი და ა. შ. ფიზკულტურისა და სპორტის წინსვლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სპორტული ობიექტების რაციონალურ განლაგებას, მათ ეფექტურ ექსპლოატაციას და რენტაბელურ მუშაობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპორტული ობიექტების სწორ განლაგებას ცალკეულ რეგიონებში. როგორც წესი, რაიონი ან უწყება, თუკი მას შესაბამისი თანხა გააჩნია, ცდილობს ბაზა მაინცდამაინც თავის რაიონში ააშენოს. ინიციატივა, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის, მაგრამ ვინც აშენებს, ალბათ უნდა შეეკითხოს ამ საქმეში კომპეტენტურ ორგანოებს, რომ ადგილი არ ჰქონდეს უსისტემობას. დავუშვათ, საგარეჯოში ავაშენეთ წყალში სახტომი კოშკი. ცხადია, ეს ურიგო არ იქნება, მაგრამ ჭიდაობით და მოჭიდავეებით ცნობილ ამ მხარეში პირველ რიგში საჭიდაო დარბაზი უნდა ავაგოთ, წყალში სახტომი კოშკის აგება კი მომავლისათვის გადავდოთ.

ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამით კი იმის თქმა მინდა, რომ სპორტული ობიექტი უნდა იგებოდეს იქ, სადაც ეს საჭიროა, სადაც მაქსიმალურად გამოადგება ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობის საქმეს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ქებით მოვიხსენიო ის რაიონები და მათი ხელმძღვანელები, სადაც დიდი სერიოზულობით ეკიდებიან სპორტული ბაზების მშენებლობას. ესენია: ხობის, თერჯოლის, თელავის, ვანისა და სხვა რაიონები.

ალბათ საჭიროა დაიხვეწოს სპორტული ბაზების განლაგების კოორდინაციის სისტემა. ეს უშუალოდ ჩვენი მოვალეობაა. თუ დღემდე ხარვეზები შეიმჩნეოდა ამ სფეროში, მომავალში მეტი სერიოზულობით მივუდგებით მას, რათა სპორტული ბაზები ობიექტური პირობების მიხედვით განაწილდეს და განლაგდეს.

● **ამ რამდენიმე წლის წინათ პრესაში ხშირად ვკითხულობდით: „საკავშირო მაჩვენებლის მიხედვით საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა სპორტული ბაზების რაოდენობის მხრივ“...**

— თავიდანვე ვიტყვი, რომ სპორტული ბაზების რიცხვმა ჩვენში გაცილებით იმატა. რაც შეეხება საკავშირო დონეს, აქ შედარებები ალბათ ძალზე არათანაბარი გამოვა. საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სპორტული ბაზების რიცხვის მიხედვით ადგილებს არავინ აჯამებს, მაგრამ მოსახლეობის რიცხვის შეფარდების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბოლო ადგილებზე რომ ვიქნებით, ეს უეჭველია. იდეალური პირობები რომ გვქონდეს სპორტული ბაზების კეთილმოწყობის თვალსაზრისით, ამისათვის ჯერ კიდევ ძალზე ბევრია გასაკეთებელი. პირველ რიგში დღის წესრიგშია საცხოვრებელი ადგილების მიხედვით სპორტული ბაზების ქსელის გაფართოება. ეს მოსახლეობის მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა. როგორ სრულდება ჩვენში საბჭოთა კავშირის სახმშენის 1967 წლის 28 აპრილის დადგენილება, რომელიც საცხოვრებელ ადგილებში სპორტული ბაზების დაპროექტებასა და მათ აგებას ითვალისწინებს და რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა? სამწუხაროდ, კვლავ გვიხდება კრიტიკული გამოსვლა ამ პრობლემაზე.

საილუსტრაციოდ ასეთ მაგალითს მოვიტან: ვაზისუბნის დასახლება დედაქალაქის ერთ-ერთი ახალგაზრდა მასივია. აქ 35 ათასი კაცი ცხოვრობს. პროექტით ვაზისუბანში 22 სპორტული მოედანი უნდა მოწყობილიყო, აშენდა კი მხოლოდ 9. ერთ სულ მოსახლეზე აქ 0,2 კვადრატული მეტრი სპორტული მოედნის ფართობი მოდის, რაც ექვსჯერ ნაკლებია საკავშირო მაჩვენებელზე. დამეთანხმებით, დამაფიქრებელი ფაქტია.

● **სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის ცნობილ დადგენილებაში „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი განვითარების შესახებ“ ნათქვამია: „გავითვალისწინოთ ყოველდღიურად ნახევარი სამუშაო დროის მანძილზე სტადიონების, აუზებისა და სხვა ნაგებობათა გამოყოფა მოსახლეობასთან ფიზკულტურული მეცადინეობისათვის“.**

— დადგენილების შემდეგ ამ თვალსაზრისით წინსვლა იგრძნობა, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ეს ჯერ კიდევ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. ინიციატივა უშუალოდ სპორტული ბაზების დირექტორებმა უნდა გამოიჩინონ, ახლო კონტაქტები დაამყარონ მოსახლეობასთან, რაიონებში თავიანთ ობიექტებზე სავარჯიშოდ მოიწვიონ ადგილობრივი მოსახლეობა, პროპაგანდა გაუწიონ სპორტს. სპორტული ბაზების კარი ყოველთვის ღია უნდა იყოს ორგანიზებულად მოსული ყველა მსურველისათვის.

● **რომელი ახალი სპორტული ობიექტი შეემატება ჩვენს რესპუბლიკას უახლოეს მომავალში?**

— თბილისში საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის გვერდით პირველ რიგში უნდა აშენდეს სამდარბაზიანი კორპუსი, კალათბურთის სპეციალიზებული სპორტული სკოლა წერეთლის პროსპექტზე, 50-მეტრიანი ღია საცურაო აუზი არსებულის მიმდებარე ტერიტორიაზე საირმის ქუჩაზე. უკვე დამთავრდა საკოლმეურნეოთაშორისო საცურაო აუზის მშენებლობა დილმის რაიონში. განათლების სამინისტროს სისტემის ხაზით რეკონსტრუქცია უტარდება ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას ცხინვალში, რომელიც გაისად დამთავრდება.

1983-1985 წლებისა და 1990 წლამდე სახელმწიფო გეგმით საქართველოში ბევრი სპორტული ნაგებობის და მოედნის აგებაა გათვალისწინებული, მათ შორისაა საქართველოს პროფსაბჭოს სახსრებით, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ხაზით: სასწავლო სპორტული ბაზა (ფიზკულტურის სახლი) სიღნაღში, სპორტული სკოლა მესტიაში, სპორტული სკოლა ონში (განათლების სამინისტროსთან ერთად), სპორტული დარბაზი ხობში, დახურული საჭიდაო არენა სოფელ მეტეხში (კასპი), სპორტული მოედანი სოფელ ჭანდარში (გურჯაანი), საცურაო აუზი წალენჯიხაში, სპორტკომპლექსი, იპოდრომი რუხში (ზუგდიდი).

განათლების სამინისტროს ხაზით: სპორტული სკოლები დმანისში, თელავში, გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატი (რეკონსტრუქცია), დახურული საცურაო აუზი გორში, საცხენოსნო ბავშვთა სპორტული სკოლა თბილისში.

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საქართველოს საბჭოს ხაზით: 150-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი და კვების ბლოკი ბაკურიანში.

დოსააფის ხაზით: 26 კომისრის რაიონში საწყლოსნო სპორტული კომპლექსი (დახურული საცურაო აუზი, 4 აბაზანა, ტრიბუნები 850 ადგილით, სკოლა 11000 მოსწავლისათვის, სასტუმრო 150 ადგილით), დახურული სასროლი ტირი გორში, ბოლნისში, საჩხერეში, ახალციხეში, ვანში.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხაზით: სპორტკომპლექსი თბილისში (სპორტდარბაზებით ჭიდაობის, კრივისა და ფარიკაობისათვის, დახურული ტირი, საცურაო აუზი, აღდგენითი ცენტრი).

როგორც ვხედავთ, საქმე უამრავია. ვფიქრობ, მშენებელი ორგანიზაციების ფართო აქტივის, საზოგადოებრიობის, აგრეთვე პრესის დახმარებით შევძლებთ თანდათანობით გადავჭრათ ჩვენს წინაშე არსებული ფრიად სერიოზული ამოცანები.

**საუბარი ჩაიწერა გ. ბარჯაძემ.**

**რედაქციისაგან: იმ მიზნით, რომ მკითხველს პერიოდულად გააცნოს ჩვენს რესპუბლიკაში მშენებარე სპორტული ბაზების მდგომარეობა, გადაწყდა ყველა მნიშვნელოვან ობიექტზე შეიქმნას „ლელოს“ საგუშაგო, საიდანაც ჩვენი კორესპონდენტები სისტემატურად მოგვაწვდიან ოპერატიულ ცნობებს.**





გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წელი

# მარადიული მეგობრობის ნიშნით

**გეორგიევსკის** ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით გუშინწინ საქართველოში გაიხსნა რამდენიმე ძეგლი და მემორიალური კომპლექსი.

საქართველოს სამხედრო გზის 33-ე კილომეტრზე, სადაც ჩრდილოეთიდან მომავალი გზა საქართველოს ტერიტორიაზე შემოდის, აღიმართა დიდი სკულპტურული კომპოზიცია „თერგდალეულნი" (მოქანდაკეები კ. ტაბატაძე და ჯ. თუშურაშვილი, არქიტექტორები გ. აბულაძე და დ. ახვლედიანი). წითელი გრანიტით შესრულებული შვიდფიგურიანი მონუმენტი სიმბოლურად წარმოგვიდგენს იმ ადამიანთა ცხოვრებას და მოღვაწეობას, რომელთაც მთელი ეპოქა შექმნეს საქართველოს პროგრესული აზრის ისტორიაში.

საქართველოს სამხედრო გზის უმაღლეს წერტილზე, 2300 მეტრზე მეტ სიმაღლეზე პეიზაჟის სილამაზეს ბუნებრივად შეერწყა მშვენიერი პანო — სიკეთისა და მარადიული სიცოცხლის სიმბოლო (მხატვრები ნ. მალაზონია, ზ. ლეჟავა, ზ. კაპანაძე, არქიტექტორი გ. ჩახავა).

ქართველი და რუსი ხალხის მარადიული მეგობრობის ნიშნად იხუხჩუხებს ორი დიდი ხალხის ღირსეული შვილების — გრიგოლ ორბელიანისა და ალექსანდრე პუშკინის წყაროები.

ძველი ჯვრის მონასტრის ძირას, სადაც პოეტმა ჩაიფიქრა თავისი „მწირი", აღიმართა მ. ლერმონტოვის ძეგლი (მოქანდაკე ა. მჭედლიშვილი). პოეტს პირი საქართველოსკენ აქვს მობრუნებული, საქართველოსკენ, რომელმაც მას მაღალი შთაგონების წუთები აჩუქა.

ლიტერატურული ისტორიის ლოგიკით არის შეხამებული საქართველოს სამხედრო გზის განახლებულ პანორამასთან მაქსიმ გორკის ძეგლი (მოქანდაკე ზ. კრაწაშვილი), რომელიც ფასანაურის შესასვლელს ამშვენებს.

საუკუნეების სიღრმიდან დღევანდელობაში გადმოსული ძმობის ტრასაზე დადგმულია პოეტის, ფილოსოფოსის, ლექსიკოგრაფისა და დიპლომატის სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი (ავტორები ნ. ურუშაძე, თ. გაბუნია, გ. ზაქარაია, გ. ქღენტი). გადმოცემით, აქ, არაგვის ნაპირზე, ისვენებდა საქართველოდან რუსეთს მიმავალი დიდი მწერალი. ავტორთა ჩანაფიქრით, მემორიალი გახდება დასვენების ადგილი, აქ გამოყვანილია მინერალური წყლის წყარო.

საგურამოს მახლობლად, ბორცვზე, აღიმართა თერთმეტი მეტრი სიმაღლის ბრინჯაოს მონუმენტი (მოქანდაკე ლ. მხეიძე, არქიტექტორი თ. ბოჭორიშვილი). პირით საქართველოსკენ შემობრუნებული ილია ჭავჭავაძე თითქოს გზას ულოცავს ყველას, ვისთვისაც, ისევე როგორც „თერგდალეულთათვის", ეს გზა სიმბოლურად გამოხატავს ურღვევ კავშირს დიდ ჩრდილოელ მეზობელთან.

„სამარადჟამო მეგობრობა" — ასე ჰქვია ზ. წერეთლის მონუმენტურ კომპოზიციას, რომლის აზრი მარტივი და ნათელია: როგორც შეუძლებელია ღუზის ჯაჭვის რგოლების გაწყვეტა, ასევე ურღვევია რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა.

საქართველოს სამხედრო გზით ჩამოვა თუ არა მგზავრი თბილისში, მის კვალდაკვალ ორჯონიკიძიდან სამოგზაუროდ მოდის ათობით სხვა და — პირიქით. სწორედ ისინი ქმნიან ტრასის უწყვეტ ცხოვრებას, რომლის გასწვრივ დადგმულმა ახალმა მემორიალებმა არა მარტო დაამშვენეს იგი, არამედ ნათლად წარმოაჩინეს კიდეც ნათესავთა ამ მაგისტრალის შესანიშნავი ისტორია.

• • •

**სურათებზე:** „თერგდალეულთა" მემორიალი დარიალის ხეობაში; მიხეილ ლერმონტოვის ძეგლი: პანო ჯვრის უღელტეხილზე.

**ხ. კილაძის** („კომუნისტი"), **ა. რუხაძისა** და **ხ. ედიშერაშვილის** (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტოები.

● ძიუდო

## შ. ხაბარელი და თ. ნამგალაური

**13 ოქტომბრიდან** მოსკოვის ლუჟნიკის სპორტის სასახლე უმასპინძლებს ძიუდოისტთა დიდ ფორუმს — მსოფლიო ჩემპიონატს. ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის კარგა ხანია საფუძვლიანად ემზადება სსრ კავშირის ნაკრები. შეკრებაზე იმყოფებოდნენ ძიუდოს ქართველი ოსტატებიც. ახლახან ცნობილი გახდა, რომ ორი მათგანი — ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი და სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ჩემპიონი თამაზ ნამგალაური დაიცავენ ქვეყნის ღირსებას 78 და 71 კგ წონით კატეგორიებში.

## კამპომანესმა გადაწყვეტილება შეცვალა

უკვე რამდენიმე დღეა მანილაში (ფილიპინები) ფიდე-ს 54-ე კონგრესი მუშაობს. მან განიხილა ვაჟთა მსოფლიო პირველობასთან დაკავშირებული საკითხები.

4 ოქტომბერს დილით ფიდე-ს ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ფიდე-ს პრეზიდენტმა ფ. კამპომანესმა განაცხადა, რომ აუქმებს თავის ადრინდელ გადაწყვეტილებას პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩებთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ამ გადაწყვეტილებით მან გ. კასპაროვსა და ვ. სმისლოვს ნახევარფინალურ მატჩებში წაგება ჩაუთვალა. შემდეგ პრეზიდენტმა თქვა, რომ პრეტენდენტთა შეხვედრები აუცილებლად მოეწყობა, თავად კი შეეცდება დაუყოვნებლივ შეუდგეს კასპაროვ — კორჩნოისა და რიბლი — სმისლოვის მატჩების მომზადებას, რათა ეს შეხვედრები წელსვე ჩატარდეს.

შემდეგ ფიდე-ს ცენტრალურმა კომიტეტმა მსოფლიო პირველობის გათამაშების ახალი, ორწლიანი ციკლის შემოღების თაობაზე იმსჯელა. საბჭოთა დელეგაციის წევრებმა, აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონებმა მ. ჩიბურდანიძემ და ა. კარპოვმა უარყვეს ახალი სისტემა და მხარი დაუჭირეს სამწლიან ციკლს, რომლის მიხედვითაც მსოფლიო პირველობა 1948 წლიდან დღემდე იმართება.

● ჭადრაკი

## გაიმართა XI ტური

**ქუთაისი,** 5 ოქტომბერი (ტელეფონით, „ლელოს" კორ.). სსრ კავშირის ქალთა 43-ე ჩემპიონატის ქუთაისის ნახევარფინალში გუშინ დილით ხუგაშვილმა ორი გადადებული პარტია დაამთავრა: თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეუთანხმდა ლ. კულიკოვას, შემდეგ დამარცხდა ე. ხოროვეცთან.

საღამოს XI ტურის შეხვედრები გაიმართა. ჰ. ლაგვილავამ მოუგო ი. სონს. ყაიმზე შეთანხმდნენ გ. სახატოვა და ო. ლოპატინა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ც. ქასოშვილს თ. მინოგინასთან პაიკი აკლია. საყაიმო პოზიციაა თ. ხუგაშვილი — ი. ჩელუშკინას პარტიაში.

11 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან კ. ბაგინსკაიტე (ვილნიუსი) — 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ტ. ფომინა (ტალინი) — 6,5 (2), ც. ქასოშვილი (გორი) — 5,5 (2).

**ლ. ფაჩუაშვილი.**

## არმიელთა საკავშირო

**ბათუმში** დაიწყო არმიელ მოჭადრაკეთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც 14 მონაწილეა: საერთაშორისო ოსტატი ზ. სტურუა, ოსტატები ა. ბუტურინი, ე. ბანძა, ვ. გოლდინი, გ. გლიანეცი, გ. გუსევი, ვ. კოზლოვი, ნ. კალინიჩევი, ნ. რადჩენკო, ს. შვედჩიკოვი, ა. ფოიგელი, ოსტატობის კანდიდატები ა. ანასტასიანი, გ. ბალათუროვი და ა. როსტომიანი. სპორტის ოსტატის ნორმად 8 ქულაა დამტკიცებული.

2 ტურის შემდეგ დაწინაურდა ზ. სტურუა — 1,5 ქულა.

ტურნირი 20 ოქტომბრამდე გასტანს.

**ჰ. არნშტეინი.**

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 9 ოქტომბერს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი
(ა. წერეთლის პროსპექტი, № 2)
10 ოქტომბერი

ფეხბურთი

ამხანაგური შეხვედრა

**„დინამო" (თბილისი)—„ნეფთჩი" (ბაქო)**

**დასაწყისი 18 ს. 30 წ.**

ბილეთების გაყიდვა 10 ოქტომბერს 15 საათიდან სტადიონის სალაროებში.

● ფეხბურთი

## ოლიმპიელთა მატჩი

**გუშინ** საბერძნეთში გაიმართა ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩი ამ ქვეყნისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

თამაში დამთავრდა სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების გამარჯვებით — 3:1.

II ლიგა

**II ლიგის** IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების განვლილი ტურის მატჩი ოქტემბერიანის „სპარტაკსა" და სოხუმის „დინამოს" შორის დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 1:0.

## ქრონიკა

**გაიმართა** საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პლენუმი.

პლენუმმა მთასვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, თანახმად პირადი განცხადებისა, გაათავისუფლა ო. გიგინეიშვილი.

პლენუმმა მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სპორტის ოსტატი **ხარგის ცაიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ალპინიზმის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის **ოთარ ისიდორეს ძე გიგინეიშვილი** დააჯილდოვა **საპატიო სიგელითა** და **დიდი ოქროს მედლით.**

სპორტლოტო

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-40 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 49"-დან:** ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ფიცრის გამოცნობისათვის (3 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისათვის (509 ბარათი) — 93, სამისთვის (13631 ბარათი) — 5.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** ხუთი ფიცრის გამოცნობისათვის (64 ბარათი) მოგება 3010 მანეთია, ოთხისთვის (5140 ბარათი) — 61, სამისთვის (91118 ბარათი) — 5.

მოგებული თანხის განაღდება — 12 ოქტომბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით.

**რესპუბლიკური** საცალო-საბითუმო გაერთიანება „სპორტსაქონელი" ავტომოყვარულებს სთავაზობს თბილისის ქარხანა „აგრეგატის" ნაწარმს, მძღოლის სავარძელზე დასაყენებელ ვენტილიატორს „ავტოკომფორტ ВИА 0,5у2"-ს. იგი აუმჯობესებს მძღოლის შრომის სანიტარულ ჰიგიენურ პირობებს მანქანის სალონში.

„ავტოკომფორტი" მუშაობს 12 ვოლტი ნორმალური ძაბვის ავტომანქანის კვების წყაროზე და ღირს 60 მანეთი.

„ავტოკომფორტის" შეძენა შეიძლება გაერთიანება „სპორტსაქონლის" შემდეგ მაღაზიებში: მაღაზია № 2 (ვაჟა ფშაველას პროსპექტი, 73 ა), № 4 — (შ. ნუცუბიძის ქ. № 1), № 8 — (ავჭალის გზატკეცილი № 21), № 10 — (სასტუმრო „უზბას" ტერიტორია), აგრეთვე, გაერთიანების სოხუმის, ქუთაისის, თელავის, ბორჯომის და ახალციხის მაღაზიებში.

**რესპუბლიკური საბითუმო-საცალო გაერთიანება „სპორტსაქონლის" დირექცია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 უე — 07842